სამშობლო

პარასკევი
18 მარტი
წელიწადი II.

ფასი: წლიურათ 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. **დამატებით** 7 მ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 4 მ., დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 30 კაპ., უკან 20 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 313 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 313

ელეფონი № 76. ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

მიიღება ხელის მოწერა 1916 წლის
ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ
„სამშობლო“-ზე
ქ. ქუთაისი. **წელიწადი მეორე.** ქ. ქუთაისი.
გაზეთი გამოვა
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.
წლიურათ გაზეთი ეღირება 9 მანეთი, ნახევარი წლით 5 მ.,
ამ თვით 2 და 40 კ., თვიურათ 80 კ., ცალკე ნუმერი 5 კ.
ედაქტორი **ი. თ. ცინცაძე.** გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო“**

ებოთ დამწუხრებულნი მამა იოსებ კონსტანტინეს ძე, დედა ოლღა ხტანგის ასული, ბებია მატა ლევანის ასული და ივლიტე მოსეს ასული, ბიძები: ივანე, მიხეილ და სვიმონ კონსტანტინეს ძენი მდივნები, ბიცოლები: ნადეჟდა სპირიდონის ასული, ნინო სამსონის ასული, ძმები: კოწია და პეტია იოსების ძენი მდივნები გულითადის მწუხარებით უწყებენ ნათესავთ, ნაცნობთა და ამხანაგთ, რომ ამა 15 მარტს ნაშუადღევის 4 საათზე გარდაიცვალა

პიმენ (ბუჭუა) იოსების ძე მდივანი,

პანაშვიდი ყოველდღე, საღამოს 6 საათზე, მესხეთის ქუჩა, საკუთარი სახლი. გამოსვენება დანიშნულია პარასკევს 18 მარტს, ნაშუადღევის 3 საათზე. დაკრძალვა მოხდება სოფელ ბაკისუბანში. 2—2
96

ს, 20 მარტს, დღით 12 საათზე თეატრ „რადიუმში“ დანიშნულია აისის **სახალხო უნივერსიტეტის** საზოგადოების წევრთა

კრება.

1913—1914 წლ. ანგარიში სახალხო უნივერსიტეტის მოქმედებისა.
მგეობის და სარევიზიო კომისიის წევრთა არჩევა.
წმუნებულთა არჩევა კულტურულ საზოგადოებათა კავშირის კრებაზე დასასწრებლად. 3—1 98

აბრეშუმის თესლი.

შემოზიდულია საფრანგეთიდან და მიღებული თბილისის საბრე- ო სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, ცნობილი კავკასიაში და განგებ გამოგზავნილი საქართველოში ვრცელებლათ. თესლით მოვაჭრეთ ვსთხოვ: თბილისში მომმართონ ჭირ მე (სასტუმრო ორიანტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბაშაში იოსებ გეგენავას და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.

ფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი, გამოგზავნილი საფრანგეთის მართებლობის მიერ **ვადიმ კოსერი.** თ.

ქიმი გაბრიელ იოსების ძე **ბოკიელის** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. ვანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების ება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი თ.

ქიმი **ი. ჩარიძოვი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განაახ ანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფე მიღება ახალ **ბინაზე, დილით, 12** — საათ მ. 6—8 საათ. მისამართი: ლვოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. თ.

ქიმი **ვალია კოკოჩაშვილი** იღებს ბავშთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46, ტელეფონი № 87. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი
მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ვუკეთებ ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ 3

დაიბეჭდა და გასაყიდად დაურიგდა **თ. მთავრიშვილის** და ამხ. მიერ გამოცემული ს. გ. გორგაძის თხზულება

ქართული მართლწერა

ფასი 40 კაპ. წიგნი იყიდება ქუთაისში—გამომცემელის წიგნის მაღაზიაში, თბილისში, ქართველთა შორის წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიასა და ს. მერკვილაძესთან, ხონში მინა პაჭკანიძესთან. 10—5
81

ს./ს. **ი. გოკიელის** შვილების
ქუთაისში
ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ
მივიღეთ ცნობილი **აბრეშუმის თესლი**
ხ. ხრისტოდულიდის.
მისამართი წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.
დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60
თ.

განცხადება.

კვირას, 20 მარტს, ალექსანდროვის ქუჩაზე, ბოკერიას შენობაში, სათავად-აზნაურო ქალთა კომიტეტი ხსნის ომის გათავებამდე, დაშავებულთა და სათადარიგო ჯარის კაცთა ოჯახების სასარგებლოთ

საჩაიე კაფეს „ძმური დახმარება“,

სადაც დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.

სტუმრებს გაუმასპინძლდებიან ქუთაისის საზოგად. ცნობილი ასულნი

ექიმი **მულინი.** ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავათმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა. თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა.
10

ექიმი **ა. მ. ასათიანი.** განაახლა ავათმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავათმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდი, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.
11

ბებია **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

ინგლისის ასპარეზი

ლონდონი. 14 მარტი. ოფიციალი ცნობა ბრიტანეთის მთავარ ბანაკისა საფრანგეთიდან. დღეს დილით, ნაღმის აფეთქების შემდეგ, ჩვენმა ქვეითა ჯარმა უკუაქცია გერმანელები სენტანის მიმართულებით და დაიკავა ბრძოლის პირველსა და მეორე ხაზზე თხრილები 600 მეტრის მანძილზე. მოპირდაპირე დიდათ დაზარალდა. ტყვეთ წამოიყვანეთ 2 აფიცერი და 168 ჯარის კაცი. ვიხელთეთ სამხედრო იარაღი.

ლონდონი. 15 მარტის ცნობა. ინგლისელებმა ააფეთქეს ნაღმი ლომბასელის მახლობლათ; ნევინსილტვასის სამხრეთით და ჰოჰენცოლერის რედუტთან ბრძოლა ინგლისელთა სასარგებლოთ სწარმოებდა. საღამოს გერმანელებმა ნაღმი ააფეთქეს და ინგლისელთა თხრილებს მცირე ზარალი მიაყენეს.

პარიზი. 15 მარტი. საღამოს ცნობა. არგონებში ფრანგთა არტილერია მოწინააღმდეგის პოზიციებზე საარტილერიო ცეცხლის დაშენას განაგრძობს. ლაიგუეტის ჩრდილოეთით, ფონტენოშარის რაიონში და აგრეთვე აღმოსავლეთით არგონებში, ცეცხლი მიმართულია მტრის ბატარეებისადმი. მონფლეთის ტყესთან მოხდა ნაღმის აფეთქება. მდინარე მაასის დასავლეთით დღის განმავლობაში გრძელდებოდა ძლიერი საარტილერიო ბრძოლა. გერმანელები უშენენ ფრანგთა პოზიციებს, ავოკურიდან მოკიდებული ბეტანკურამდე. დღის სამ საათამდი გერმანელებს მოჰქონდათ სასტიკი იერიშები ფრანგთა ხაზების წინააღმდეგ ალეკურ მალენკურის ფრონტებზე. ყველა იერიში მოგერებულ იქნა ფრანგების მიერ, რითაც მოწინააღმდეგე მხარე ძალზე დაზიანდა. ქვეითა ჯარის ცეცხლით მტრები შევიწროვედენ მდ. მაასის აღმოსავლეთით. ვერდენთან საარტილერიო ცეცხლის გაძლიერებით ბრძოლამ მწვავე ხასიათი მიიღო

ვოგეზებში ხდებოდა საარტილერიო ბრძოლა. შტისვირის რაიონში მიუზალბთან ბრძოლა გაცხოველდა.

ბელგია. ბელგიის ცნობა. ბელგიის ასპარეზზე საყურადღებო არაფერი მომხდარა.

პარიზი. 15 მარტი. ჰავასის სააგენტოს ცნობით, გერმანელებმა ვერდენთან გააორკეცეს სასტიკი იერიშები. მტერი 6 დღის განმავლობაში განუწყვეტლათ ისროდა გასასკდომ ყუმბარებს. მთელი ვერდენის ფრონტი გახვეულია ბრძოლის ცეცხლში.

ავოკურსა და მალენკურის ხაზებით, ერთი კილომეტრის მანძილზე მაასიდან, გერმანელთა ერთი დივიზია მიიჭრა ფრანგთა სამაგრეებთან. გერმანელთა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

მათ სურთ გაანადგურონ 18 კილომეტრზე გამოწეული სიმაგრეები, გაარღვიონ ოთხი თავდასაცავი ხაზი და ისე მიაღწიონ ვერდენამდი.

იუანშიკაის მონარქიის ლიკვიდაცია.

პეკინი. როგორც პეკინიდან იუწყებიან, იმპერატორობის მაძიებელი იუანშიკაი მზათ არის დათმობის გზას დაადგეს და 1912 წ. სარესპუბლიკო კანონების განხორციელებას ხელი არ შეუშალოს, ამ რიგათ ჩინეთის რევოლუცია კვლავ იმარჯვებს.

სასურსათო საკითხი.

პეტროგრადში არსდება ახალი სასურსათო კომისია, რომელშიაც შევლენ მიწად მოქმედების მინისტრი და ერობის წარმომადგენელნი.

პარიზი 15 მარტი. ჰავასის სააგენტო იუწყება: კონფერენციის დახურვის წინ ერთხმათ გამოიტანეს შემდეგი რეზოლუცია, რომ მეორე სხდომა კონფერენციისა მოიწვიონ კვირას.

მოსკოვი. მოსკოვის სლავიანთა კომიტეტმა განიხილა საკითხი ბულგარეთის თავის მომქმედმი ღალატისა და გამოაშკარავა, რომ ყველაფერი მხოლოდ ფერდინანდ კობურგელის ბრალი არ არისო. ღალატში წილი უდევს ბულგარეთის ხალხსაც, რისთვისაც იგი სათანადოთ უნდა დაისაჯოსო.

ვაშინგტონი. ამერიკის მთავრობა ბერლინში თავის რწმუნებულს აცნობებს —შეეკითხოს იმპერიის კანცლერს, რომ გემი „სოუსექსი“ მართლა გერმანელთა ნაღმით არის დაღუპულიო.

კოპენჰაგენი. ბერლინიდან იუწყებიან: დაარსდა სასურსათო კავშირი, რომლის მიზანიც არის სხვა და სხვა ნეიტრალ სახელმწიფოში საკლავ საქონლის ყიდვა.

გემის დაღუპვა.

ლონდონი ინგლისის გემი „იგლპოინტი“ გერმანელებს დაუღუპნიათ. შემადგენლობა გემისა გადარჩენილია

კავრიხი აქ მოვიდა დანიის გემის მარიარტის შემადგენლობა. გემის კაპიტანი გადმოგვცემს, რომ გემი გერმანელთა ნაღმს დასჯახებია და დაღუპულა.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

მდგომარეობა რუსეთის ფრონტზე.

გაზეთ „რეჩის“ გადმოცემით პეტროგრადში მოსული ცნობებით ყველა იმ ადგილებში, რომლების დაკავება კი მოახერხა რუსეთის ჯარმა ჩრდილოეთის ფრონტზე, დღემდე მას ხელთ უპირავს და იქ გამაგრებას სცდილობს. რაც შეეხება სამხრეთის ფრონტს: დუბნო-როვნოს გზით შემოტევას, უნდა ითქვას, რომ იგი დიდხანს ვერ გაგრძელდება და ჯერ კიდევ ვერ განვითარდება; ესევე ითქმება მტრის იმ ადგილას შემოტევის შესახებაც, სადაც სტრიპა დნესტრს უერთდება. ეტყობა, რომ ამ რაიონებში მტერი (ავსტრია გერმანია) მაინც თავ-გამოდებულ შეტევას არ ადგება

გერმანელების მზადება

„ბირჟევია ვედომოსტის“ გადმოცემით ერთი შვედური გაზეთი გვარწმუნებს, რომ გერმანელები ბალტიის ზღვის პირის ფრონტზე საომრათ გამალებით ემზადებიან. გერმანელებს არა თუ მარტო გადაყავთ იქ მაშველი ჯარები და გადააქვთ მსხვილი ყალიბის ზარბაზნები, არამედ სამხედრო ფრონტის ერთ ნაწილს ლიბავის ნავთსადგურისაკენ დაჩქარებით გზავნიან; უმთავრესათ წინა რიგში მდგომ ხომალდებს, ალბათ იმ მიზნით, რომ რიგის ყურეში შეიჭრა და მისი დაკავება ხელმეორეთ სცადონ და თან ტუკკუმის რაიონში ხმელეთის ჯარის შეტევასაც ხელი შეუწყონ.

გერმანელთა საზღვაო მუქარის განმეორება.

„დეილი ნიუს“ კორესპონდენტი როტერდამიდან (ჰოლანდიის ქალაქი) იტყობინება, რომ გერმანიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ამ მოკლე დროში ნეიტრალურ ქვეყნებს გამოუცხადოს, რომ მან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

(დღიური)

უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის დეპეშა დღეს არ მოსულა. უმაღლესი ბრძანებით რუსეთის ახალი სამხედრო მინისტრი, პოლივანოვი თანამდებობიდან გადაყენებულ იქნა, მის ალაგას დაინიშნა საინტენდანტოს გენერალი შუაევი. ეს ფაქტი მოულოდნელია, რადგან პოლივანოვის შესახებ დღიდან მისი სამხედრო მინისტრათ დანიშვნისა არაფერი ისმოდა: აკეთებდა ის რასმე, თუ არა. ახლა უნდა ვიფიქროთ, რომ საქმე ალბათ რიგიანათ ვერ წაუყვანია, რომ ასე მოულოდნელათ და ასე მალე ასპარეზიდან გავიდა. რას გააკეთებს, ან რა ენერგიას გამოიჩენს ახლა მინისტრი შუაევი, ამას რუსეთის ფრონტზე დაწყებული გენერალური ბრძოლის მსვლელობა მალე დაგვანახებს.

საფრანგეთის ფრონტზე მდგომარეობა არ შეცვლილა. ფრანგები ისევ ძველ პოზიციებზე მაგრათ დგანან და საშუალებას არ აძლევენ გერმანელთ, რომ წინ წამოვიდენ. ვერდენთან გერმანელები გაცხარებულ საარტილერიო ბრძოლას კვლავ განაგრძობენ მდ. მაასის დასავლეთის მხარეზე ავაკურიდან ბოტენკურამდე ფრანგების პოზიციებს განუწყვეტლად ყუმბარებს უშენდენ; ხოლო ოკურ მალანკურის ხაზზე რამდენჯერმე თავგამეტებული იერიშით წამოვიდენ, მაგრამ ფრანგებმა როგორც საავენტოს დეპეშა აგვიწერს, ცეცხლის ფარდა აიფარეს, ე. ი. საარტალერიო ცეცხლი აანთეს და მით ყველა იერიში მოიგერიეს. მდ. მაასის აღმოსავლეთით ბრძოლა ახლა ფრანგების მოგერებითი მეორე ხაზზე სწარმოებს. პირველი უკვე გერმანელების ხელშია, ვევრთან ამ მეორე ხაზზე ფრანგები გერმანელების ზარბაზნების ცემას მარჯვეთ უმკლავდებიან ჯერ-ჯერობით. ბალკანეთში სალონიკის რაიონში დაუტლისთან გერმანელებმა ფრანგების სადარაჯო საზღვარი გადალახეს, მაგრამ მალე უკუქცეულ იქნენ. სხვა ფრონტების შესახებ ცნობები არ მოსულა.

წყალ-ქვეშა ნავების საშუალებით ინგლისის ნაპირების სრული გარემოცვა მოახდინა; ამიტომ მათ აფრთხილებს: ამიერიდან ნეიტრალური ქვეყნების ყოველ გვარი ნავ ჭურჭელიც, რომელიც კი ინგლისის ნაპირებისაკენ წავა ჩაძირული იქნება, როგორც მტრის გემი.

ქრონიკა

რუსეთი.

საზღვარგარეთის საქონლის შემოტანის აღკრძალვა.

სახელ სათათბიროში კანონპროექტია შეტანილი, რომლითაც საზღვარგარეთიდან ფუფუნების დამაკმაყოფილებელი საქონელის რუსეთში შემოტანა უნდა აღიკრძალოს 1916 წლ. 1 ივლისიდან. ასეთი საქონლის რაოდენობა 1913 წელს 100 მილიონს უდრიდა თურმე; ხოლო 1915 წელს კი მიუხედავათ ომისა 40 მილ მან მაინც შემოუტანიათ იმედი აქვთ, რომ სახელ სათათბიროში ამ კანონპროექტს არაფერი არ დააბრკოლებს.

რიაბუშინსკის წინადადება.

მთავრობის წრეებში ახლა დიდი ბჭობაა პარიზში გამართულ მოკავშირეების ეკონომიურ კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ მოსკოვის ბირჟის კომიტეტის თავჯდომარემ რიაბუშინსკიმ ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრს, თავ შახოვსკოის წერილით წინადადება მისცა, რომ, ვიდრე პარიზში მოკავშირეების ეკონომიურ კონფერენციაზე მონაწილეობის მისაღებათ მთავრობის წარმომადგენელი გაიგზავნებოდეს, აუცილებლათ საჭიროა სავაჭრო სამრეწველო ორგანიზაციების წარმომადგენელებთან ერთად გამოირკვეს ყველა ის კითხვები, რომლებსაც მოკავშირეების კონფერენცია გაარჩევს.

საყურადღებო კანონპროექტი.

11 მარტს დასრულდა საუწყებათა შორის თათბირი, რომელიც სახალხო განათლების სამინისტროსთან იყო შემდგარი. თათბირმა განიხილა კანონპროექტი, რომელიც იმპერიაში საყოველთაო სწავლების შემოღებას ეხება. თათბირზე სამღვდელოების წარმომადგენლებმა კანონპროექტში ბევრი შესწორებები შეიტანეს და ამით კანონპროექტიო დიდათ დააბრკოლეს. სწავლის სავალდებულოთ გახდომა და სასკოლო შენობებისთვის ფონდის დაარსება უკამათოთ და უდაოთ გავიდა, მხოლოდ სწავლის საყოველთაოდ გადაქცევის და კრედიტების (ხარჯების) განაწილების თაობაზე შეთანხმება ვერ მოხდა აქ ალბათ სამღვდელოებამ თავისი გაიტანა და დააკანონა, რომ სწავლა ხალხის მცირე ნაწილმა მიიღოს, ხოლო ხარჯი კი მთელმა ხალხმა იხადოს.

ახალი ამბავი.

ქუთაისი.

პ. დ. ს.

მოსკოვის სამხედრო საოლქო სასამართლოში დაიწყო სტუდენტ გაჩეჩილაძის საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალდება პრაპორშჩიკ რადიონსკის მოკვლა.

◆ დეპ კარლო ჩხეიძე ამ მოკლე ხანში საქართველოსკენ გამოემგზავრება.

◆ **მეორე და პირველ. ხარისხის მოლაშქრეთა გაწვევა.** მეფ. ს ბრძანებით, უმართებულესმა სენატმა მთელს იმპერიაში, გარდა კავკასიისა და პრიამურის მხარისა, ჯარში გაიწვია მეორე ხარისხის მოლაშქრენი 1916—1906 წ. და პირველ ხარისხის მოლაშქრენი 1916—1907 წ.

◆ **მეფის მოადგილის** კანცელარია ატყობინებს ქუთაისის გუბერნატორს, შეატყობინოს 1915 წ. ქუთაისის გუბერნიაში, თუ როგორ წარმოებდა სანადელო გლეხების ადგილის გამოყიდვა, თანახმად 20 დეკემბრის 1912 წლის კანონისა.

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნებადართო მსახიობ გრიგოლ ჩარკვიანს, რომ მის სასარგებლოდ გამართოს წარმოდგენა 19 მარტს და ძველ-სენაკში სათავად-აზნაურო სასწავლებლის დარბაზში. წარმოდგენილი იქნება პიესა — „ჯერ დაიხოცენ და მერე იქორწინეს".

◆ ამას წინათ ქუთაისის გუბერნატორი დაეკითხა ქ. ოზურგეთის თვითმართველობას თურატომ აგვიანებენ 1916 წ. ქალაქის ხარჯთაღრიცხვის შედგენას ამის შესახებ ხსენებული ქალაქის სტაროსტა აცნობებს, რომ მან მეხუთეჯერ დანიშნა ამის შესახებ რწმუნებულთა კრება, მაგრამ წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო ხარჯთაღრიცხვა არ შესდგა.

◆ ქუთაისის ქართული გიმნაზიის 8 კლასის მოწაფეთა სიმწიფის მოწმობის მისაღებათ გამოცდები დაიწყება 26 მარტიდან მეექვსე კლასში წერითი გამოცდები დაიწყება 24 მარტს.

◆ ივ. მოსიძეს უთარგმნია რუსულ ენაზე შემდეგი პიესები: „სიმახინჯე" შიუკაშვილისა, „ქრისტინე" ირეთელისა, „ლევან სამეგრელოს მთავარი" — ვ. ყიფიანისა, „განწირულნი" შალვა დადიანისა, „გამცემი"—გედევანიშვილისა, რამოდენიმე ამ პიესათაგან უკვე დართეს ნებართვა სცენაზე დასადგმელად ეხლა თარგმნის რომანს „მოლიპულ გზაზე" ან. ერისთავ ხოშტარიასას.

◆ ქ. პეტროგრადიდან ქალაქის გამგეობამ მიიღო ცნობა, რომ გაზის ფარნებისათვის საჭირო ბადეები შეგვიძლია მოგაწოდოთ და ასი ბადე ეღირება 40 მანეთადო.

◆ ქუთაისის ქალაქის ქიმიურმა ლაბორატორიამ აცნობა ქალაქის თვითმართველობას წარსული თვის ანგარიში, თუ რამდენ სანოვაგეს გაუკეთეს ანალიზი. ანგარიშიდან სჩანს რომ ამ ხნის განმავლობაში ანალიზი გაუკეთებიათ. რძეს 85 ჯერ ხორცს 2, პურს-14, ძეხვებს 4, ხილოვანურ ერბოს 3, კაკაოს 5 და თევზს 3 ჯერ.

◆ ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობის წინამძღოლი თ-დ დ. ო. ნიჟარაძე მცირე ავადმყოფობის შემდეგ გუშინ უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

◆ ქუთაისის დრამატიული საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება, ნაცვლათ 24 მარტისა მოხდება ორ აპრილს.

◆ 16 მარტს მოხდა ახალი თეატრის ამშენებელი ბიუროს წევრთა კრება

კრების დადგენილებას შემდეგ მოვათავსებთ

◆ ქუთაისის საერობო აგრონომმა კ ბერეკაშვილმა ამ ცამათ უკვე მიიღო ორი ვაგონი შაბიამანი.

◆ ადგილობრივმა სასურსათო კომისიამ ქართულ დრამატიულ საზოგადოებას ერთი ვაგონი მისცა თეატრისთვის სკამების მოსატანათ

◆ 23 მარტს ქუთაისის ქალაქის თვითმართველობის სადგომში იჯარით გაიცემა ის ადგილები, რომლის პატრონებმაც ჯარის ფული თავის დროზე ვერ შეიტანეს ქალაქის კასაში.

◆ ქ. ფოთის ნავთსადგურის საწყობში ამ ცამად დიდძალმა გამოწერილმა საქონელმა მოიყარა თავი. მათ რიცხვში სამასი ათასი ფუთი შაქარია და ამდენივე ფუთი პურის ფქვილი და ასი ათასი ფუთი სხვადასხვა საქონელი. ამ დღეებში ქ. ფოთში ჩასულა სამხედრო მიმოსვლის უფროსი და ქალაქის გამგეობისათვის გაუცხადებია, რომ საწყობიდან გაიტანონ საქონელი არა უგვიანეს ერთი კვირისა: თუ რომელიმე საქონელი ამ ერთი კვირის შემდეგ დარჩა მათზე მოხდება რეკვიზიცია. სანოვაგის მოტანა ძლიერ სიჩქარით ხდება. სატრანსპორტო „გემს" კავკასიის წისქვილებისათვის 130 ათასი ფუთი ხორბალი მოუტანია.

◆ 1—15 მარტამდი რკინის გზით, ქუთაისში შემოიტანეს შემდეგი სანოვაგე: შაქარი 7 ვაგონი და 255 ფუთი, პურის ფქვილი 2 ვაგონი, თივა 26 ვაგონი, ქვანახშირი 1 ვაგონი, ბზე 13 ვაგონი, მარილი 5 ვაგ., ცემენტი 6 ვაგ., გაუწმენდელი ნავთი 6 ვაგ., ნავთი 6 ვაგ., შეშა 5 ვაგ., სხვადასხვა სანოვაგე 2,988 ფუთი.

◆ 16 მარტის სხდომაზე ქუთაისის სასურსათო კომისიამ შემდეგნაირათ გაანაწილა ზღვით მოსატანი სანოვაგის ვაგონები: პურის ფქვილისათვის 25
დისათვის 20
ვაგ., ადგილობრივ
გაანაწილა ვაგონები: პურის
თვის—5 ვაგ., მარილისათვის—6
თივისათვის—5 ვაგ., თევზისათვის
ქატოსათვის—7 ვაგ., შეშისათვის
ღვინისათვის—4 ვ., ბრინჯისათვის
ქვანახშირისათვის—2 ვ., ცემენტ
3 ვ., კრამიტისათვის—2 ვ., და
სხვა სანოვაგისათვის 9 ვაგონი.

◆ ლავრენტი კუპრაშვილი
ნებს ქალაქის გამგეობას, რომ
პუშტროვის მუშები იღებენ თბი
ლაქის ადგილზე № 194, რათა ამ
თვისონ ხსენებული ადგილით.
გამგეობამ ამის შესახებ უკვე
შესაფერი განკარგულება

— **ქურდობა.** გაბრიელ პაპიაშვილ
მაჭკვლაძეს მოპარა 4 ქათამი, ერთი
და ორი ბატი, მოშე ბენიაშვილს კ
ძაგარი, 12 ტომარი, ერთი ინდაური
ქათამი დამნაშავე ქურდობაში გამო

სასამართლოს ქრონიკა.

◆ ქუთაისის საოლქო სასამართლო
სამართლის დარბაზში, ხვალ, 19 მარ
ჩევა სისხლის სამართლის საქმე ისიდო
ძისა და ტრიფონ ჯაშისა.

სოფლ

◆ ქუთაისის გუბერნატორმა ნე
ს. ბახვის (ოზურგეთის მაზრა) მცხო
ანტონის ასულს კარტოჩკინს, ამავ
უმაღლეს პირველ-დაწყებითი სას
ინსპექტორის, ვაჩნაძის ნაკოლაძის
ვის პასუხისმგებლობით, გახსნას ს.
წიგნის და საკანცელარიო ნივთების
ზია.

◆ ქუთაისის ვიცე გუბერნატ
დართო დ ლანჩხუთით მცხოვრებს ბ
ხვედის ასულს კაჭარავას, გახსნას
ჩხუთში პროფესიონალური სასწავლებ

— 7 მარტს ს. ჭნოლაში (სამტრე
ბოქაულოში) ღამით უბედურება
მთავრობის დარაჯებმა მიაკვლიეს
დნილ თევზაძეს გლეხ არსენ გ
სახლში და აუტეხეს სროლა თევზ
მოვარდა სახლიდან და თავს უშველ
ლის დროს მოკლულია გოგიტაძის
და სასიკვდილოთ დაჭრილია სიდედ
ტარა ერთი წლის ბავშვისთვის კ
ფეხას თითებში გაუვლია იმედი აქვ
ბავშვი გადარჩება და ჭრილობას
იტანსო.

სომხეთა შორის.

თბილისში ბ. ტ ნაზარიანის შ
გოლოვინის პროსპექტზე გამო
ოსმალეთიდან გადმოხვეწილ სომხ
ბის ნახელოვნები. ნახელსაქმ
ლამაზი და სუფთაა; განსაკუთ
რადი შალის ძაფით ნაქსოვი წინ

სამი ჟურნალი.

(შემდეგი იხ. „სამშობლო" № 311.)

1) **„ხმიმი"**—გაზეთ „შრომის" თანამშრომელთა გამოცემა.

2) **„ცისფერი ყანწები"**—პაოლო იაშვილის ჯგუფისა,

3) **„ახალი ცისკარი"**—ლადო მაჭავარიანის გამოცემა.

IV.

ახლა კი დროა გამოვსთქვათ ჩვენი აზრი დასახელებულ ჟურნალების შესახებ, თორემ, გვგონია, მკითხველს თავიც მოვაბეზრეთ, ვინაიდან მარტო ქართველი მწერლები და კრიტიკოსები არა ვართ გულჩქარნი და სულსწრაფნი, ჩვენი მკითხველი, ჩვენი საყვარელი მკითხველიც (უმრავლესობა, რასაკვირველია) მეტის მეტად მოუთმენელი, გულგრილი და ხშირად, უსამართლოცაა. ნათქვამია, როგორიც ერია, ისეთი ბერიაო!

თვალსაჩინო მკვლევარი ევროპისა და რუსეთის ლიტერატურისა ბ-ნი პ. კოგანი ამტკიცებს, რომ „მკითხველი ქმნის მწერალს, ვინაიდან ლიტერატურული ნაწარმოებნი არის აქტი საზოგადოებრივი და არა ინდივიდუალურიო". ბ-ნი კოგანი უზომო უსაზღვრო კოლექტივისტია, მისთვის პიროვნება არსებობს იმდენად, რამდენადაც იგი ყურმოჭრილი მონა თუ არა, კოლექტივის ნებისყოფის აღმასრულებელი მაინც არის და ამ თვალსაზრისით იგი მართალია. მე გადაჭრითა და საბოლოოთ არ ვიზიარებ ამ დებულებას, მაგრამ ქართველი მწერლისა და ქართველი მკითხველის შესახებ კი ერთით ეს დებულება მართლდება.

ჩვენი დღევანდელი მკითხველის უმრავლესობა უმეცარი და მოუმზადებელია. იმ მიზეზებისა გამო, რომლის შესახებაც წინა წერილებში მოგახსენეთ, ე. ი. 1) იმის გამო, რომ ქართველი ხალხი მოსწყდა თავის ისტორიულ მსვლელობას; 2) იმის გამო, რომ მას არა აქვს მშობლიური აღზრდა-განათლება: 3) იმის გამო, რომ ჩვენი ხალხის პოლიტიკურ ეკონომიური მდგომარეობა პასსიურია; 4) იმის გამო, რომ ჩვენ სხვის ხელ-ფეხად გადავქცეულვართ და სხვისგან გაკეთებული ჰოჭინათი მიეფროტიალობთ; 5) იმის გამო, რომ შესწავლილი კი არა, სულ მცირედადაც არ ვიცნობთ ჩვენ ძველს ისტორიასა და მწერლობას; 6) იმის გამო, რომ ჩვენ არ ვიცნობთ სულიერ საუნჯეს ჩვენის ერისას; 7) იმის გამო, რომ ვაი ვაგლახით ვათენებთ ღამეს და ვაღამებთ დღეს; 8 იმის გამო, რომ უცხო ნიადაგზე დამყარებული, უცხოთაგან ნახელმძღვანევი, უცხო პოლიტიკით ნაკვები და უცხო მეცნიერება-წესით მოწყობილ-მომართული სკოლები ჩვენში ზრდიან არა მოქალაქეთ, არამედ მოხელეებს, მოხელეებს სულითა, გულითა და მიმართულებით; 9) იმის გამო, რომ დაშინებულებს, არეულ დარეულებს, დამფრთხალებს, ლუკმა პურზე დამშეულებს და ჩინ-ორდენებით დაბრმავებულებს ვერაფერი ჩვენებურისა და ორიგინალურის შეტანა ვერ მოგვიხერხებია ჩვენს ცხოვრებაში; 10) იმის გამო, რომ დაგვიკარგეს ნდობა ერთმანეთისა და სრული იმედი მომავალისა; 11) იმის გამო, რომ ჩვენში ჯგუფურმა გულისთქმამ ინაცვლა საზოგადოებრივი გულისთქმა და ოჯახურმა წვრილმანობამ შთანთქა ეროვნული ერთიანობა,—ჩვენი მკითხველიც დაწვრილმანდა და გაგულგრილდა.

გაგვგონებია თქმულება წუნია საპატარძლოს შესახებ ერთს შელექსებულ კოპწია ქალიშვილს ბევრი მთხოვნელი ჰყავდა. ვინც კი ტრფობით მოინდომა მისი შერთვა, ყველას უარი სტკიცა, მაგრამ ბოლოს ისეთი ბაბაყული ამოირჩია, რომ სიკვდილამდე თავ-ბედს იწყევლიდა. ასე დაგვემართა ჩვენც ☙ დღეს ვცხოვრობთ ალალბედათ, (ინერციით) და დღეს ვფიქრობთ ალალბედად, და დღეს ვქომედებთ ალალბედად, და ხვალინდელ დღესაც მოველით ალალბედად: ასე გვგონია, ცა გაიხსნება და ღმერთი გამომცხვარ ხაჭაპურებს ჩამოგვიყრისო! ეჭვი არ არის, რომ ასეთ პირობებში ძნელი კი არა, შეუძლებელიცაა რაიმე ორიგინალურისა და თვალსაჩინოს შექმნა, ეჭვი არ არის ასეთ ყოფნაში წარმოუდგენელია რაიმე მთლიანისა და სამარადისოს გაკეთება. აკი ამიტომაც—სხვა მხარეებს ჩვენის ცხოვრებისას რომ თავი დავანებოთ,—ჩვენ არა გვყანან არც მწერლები პროფესსიით და არც მკითხველები პროფესიით. ჩვენში არიან მხოლოდ მოყვარულნი და მოტრფიალენი მწერლობისა და ხელოვნებისა და ესენიც იმდენად ერთგულნი არიან თავისი საქმისა, რამდენადაც დრო რჩებათ ტრფობისა და აშიკობისა! სადღეისო ლუხჭირი ცხოვრება კი გვაქანავებს, ვით ქარი—ღრუბლებს ცაში და გვარხევს, ვით—გრიგალი აფრა გაშლილ ფილუკებს აბობოქრებულ ზღვის გულმკერდზე და... მიდის დღე, მიდის ღამე ამ ყოფით!

როდის გაგვითენდება უკეთესი დღე, როდის ჩაავდებს ღუზას გემი ჩვენის ყოფნისა სასურველ ნავთსაყუდარში და როდის გადმოტვირთავს ჩვენი ხალხი საუნჯეს თავის სულიერ ძალთა ძლიერებისას და ან მოახერხებს ამას თუ არა, ეს სხვა საკითხია. დღესდღეობით კი ერთი გარემოებაა თვალსაჩინო, სახელდობრ ის, რომ მკითხველები ნაკლებად გვყავს და თუ გვყავს ვინმე, ისინიც დაყოფილან ჯგუფებად და ერთი ჯგუფისა მეორე ჯგუფის ჟურნალ-გაზეთობასა თუ მწერლობას ნაკლებად ჰკითხულობს.

თავად არ იყო ძმარიო, შიგ გაურიეს წყალიო და გამოდის, რომ ჩვენი მწერლობა უმრავლესობისთვის უცნობი რჩება და ჩვენი მწერლებიც—გაუცნობელნი, შეუსწავლელნი და შეუწყნარებელნი! ეს კიდევ ცოტაა! ჯგუფურის გულისთქმით გატაცებული ჩვენი მკითხველი ხშირად უსამართლობასაც იჩენს და თავის ჯგუფის „კრიტიკოსის" მაყურებელი, თავის „წრის" ყურმოჭრილი მსახური, ხშირად კმაყოფილდება იმითი, რასაც ჩასძახებენ.

თავისუფალი, მიუდგომელი და თვით მწერლობის სიყვარულით გატაცებული, თვით მწერლობის მნიშვნელობის შეგნებით აღფრთოვანებული, თვით ჩვენის მომავალის გათვალისწინებით გამხნევებული მკითხველი ნაკლებათა გვყავს და მწერლობაც ჩვენი იძულებულია ანგარიში გაუწიოს ასეთ მკითხველს, იძულებულია უღალატოს ხელოვნებას მკითხველის გულის მოსაგებათ და სწეროს ისე და იმ ჰანგზე, როგორი ჰანგიც მოსწონს მკითხველთა უმრავლესობას. მწერლობა ღებულობს მერკანტიულ თვისებას და ივიწყებს წმინდა იდეალს ხალხის აღზრდისას, ხალხის გაწვრთნისას, ხალხის ხელმძღვანელობისას, ხალხის წინამძღვრობისას, ხალხის ზნეობრივათა და გონებრივ გაფაქიზებისას!

სხვაფრივ მე ვერ ამიხსნია, მაგალითად, დავიწყება ისეთის მწერალ—პოეტებისა, როგორიც არიან ძველებში: ვაჟა, ა. ყაზბეგი, ე. ნინოშვილი, ცახელი, შიო მღვიმელი დავ. კლდიაშვილი, ვ. ბარნოვი, შიო არაგვისპირელი, ახლებში—კი: ა. შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, სპ მცირიშვილი, კირ წუთისოფლელი, ნ. ლორთქიფანიძე, უიარაღო და სხვანი. ამათ შესახებ თითქმის ყოველდღე უნდა იწე
რებოდეს წერილები, უნდა ვსწავლ
მათ, მათ ნაწერებს უნდა ვავრცელ
ხალხში იაფ-ფასიან წიგნაკებად და
სამაგიეროთ კი რას ვხედავთ?...

ჩვენ უფრო გვეტაცებს მსუბუ
უაზრო ლექსები გრიშაშვილისა და
ჟანრის მგოსნებისა

მე ამითი არავისი დამცირება არ
პირიქით მე დიდი წარმოდგენის
ჩვენ ცნობილ მწერალ—მგოსანთა
მაგრამ მკითხველისა და ობიექტ
კრიტიკის უქონლობისა და უუ
გამო, ჩვენი მწერლობა ჯერ ვერ
გარა ჯეროვან კალაპოტში და
ტილი ნამდვილ ხალხოსნობას, ჯ
შეფასებისა, თუ დაწუნება—მონ
მსხვერპლი გამხდარა. ეს გარემო
ხელს უშლის ჩვენი მწერლობის
ბას, გახალხოსნებას, სამართლიან
ბასა და მკითხველთათვის გასაზოგ
რივობას. ეს გარემოება ხელს
მწერლის წინსვლასაც, მწერლის
და გულისთქმის გაფართოვებას.—
მისი მცირდება და შუქი მისი სინა
სუსტდება, აღმაფრენას ამა თუ ი
ტისას ფრთა ეკვეცება და ბოლო
თუ ის დიდ-ბუნებოვანი მწერალ
როგორც სპჳნება მიყრუებულ სოფელ
სულსა ლევს საგიჟეთსა და ქუჩაში
ნატე ნინოშვილი, ა. ყაზბეგი, ი. ჭ
შვილი, მამია გურიელი და სხვა მ
მცირე თუ დიდი ნიჭის მწერალ
ნები, რომელნიც, ვინ იცის სად ა
ბენ გულისთქმას და სად ლაფავენ
აი აქ ერთით მართლდება მეთქი რო
წლიან მოგახსენეთ დებულება
ნისა, რომ „მკითხველი ჰქმნის მ
სა"...

მომგვარეთ თქვენ შეგნებულ,
ყვარულე, ზრდილი მკითხველ

ალდებას. არის აგრეთვე ხელით ჟურნალი „კრუტავო“, რომელიც ეულ „კრუტავოს“ მოგვაგონებსთ. ბილისის გუბერნატორმა ოსმალეთ გადმოხვეწილთა ერთი თვის (მარ-სარჩენათ ახალციხის მაზრის ლტოლ-ვილებში გადასცა 1382 მ., ალქისთვის 2997 მ., ბორჩალოს თვის 2949 მ.

„ობის მწერალთა საზოგადოებამ“, ომის მიზეზით დროებით თა-მოქმედება შეაჩერა, ახლა ხელახლავ ზრახა, რომ თავისი ლიტერატურული ობის მართვა კვლავ განაგრძოს.

ულიერო კონცერტის გამო.

ესტეტიურ სიამოვნებას განიც-ამ კონცერტის მოსმენით ყველა, ლიც ქართულ გალობას არ გა-ია და მხოლოდ უცხოს არ შეწ-

ლარე ოთხი მღვდლის ხმაშეწყობი გალობა იყო სასიამოვნო მოსასმენი იდან ჩანს, რა დიდი სულიერი სიმ ძე უანდერძებიათ ჩვენს წინაპრებს თვის. სამწუხაროდ ჩვენ, როგორც ანგველმა შვილებმა, ეს სიმდიდრე ვუხმარეთ, დავკარგეთ, შევცვალეთ. ჩვენი დაუდევრობის გამო ქართული ობა დღეს უკვე მკვდარია და მის აღ-ნას და განახლებას დიდი შრომა და ო დასჭირდება.

ხოლო ცუდი ჩვენს კარგს ვამჯობინეთ, ხოთ და უშნო სიმღერები შევით-ეთ და მაღალი პოეზიით აღსავსე და არსით მდიდარი ქართული გალობა ავიწყეთ: ცხოვრებაში ხშირად ცუდი ჯობნის კარგზე.

მა რაჟდენმა თავის მოკლე წინასიტ-ობაში ვგონებ ათი თუ თორმეტი ძვე-ქართული სამუსიკო ტერმინი დაასა-ა, რომელთაც სხვადასხვა ხმის აღსა-შნავად ხმარობდენ. აღნიშნა ამასთა-ვე, რომ ქართული გალობა არა თუ ხმოვანი, არამედ რვა და ბევრ-ხმო-ნიც იყოვო. და, თუმცა გალობისა და სიკის სპეციალისტი არა ვარ, მაგრამ ინც უფლება მაქვს ვსთქვა, რომ უკვე ფაქტი მოწმობს ქართული გალობის ღალ განვითარებას.

ოგსა ჰგონია, ვითომ ძველი ქართუ-ი გალობა დაუმუშავებელი, უბრალო, სრულებელი, განუვითარებელი, პირ-ყოფილი მასალა იყოს. მაგრამ სპე-ალისტობა არ არის საჭირო, რომ ამ ის შეუწყნარებლობა აღიარო. სასუ-იერო გალობა იმდენადვე იყო განვი-რებული, რამდენადაც სასულიერო ლობა, ხუროთმოძღვრება და საერო ტერატურა. და, მაშასადამე, მაშინდელი სასულიერო გალობა იმდენადვე დასრულებული უნდა ყოფილიყო, რამდენადაც სრული იყო იოანე პეტრიწონელის, ეფრემ მცირის, გიორგი მთაწმინდელისა, მათი მოწაფეებისა და თვით უკვდავი შოთას ლიტერატურული ენა.

ეს ჭეშმარიტება უნდა უძღოდეს წინ ჩვენს კომპოზიტორებს, როდესაც ქართულს სასულიერო გალობას ხელს ჰკიდებენ და მასალად ხმარობენ. სიფრთხილე მართებსთ, რომ არათუ არ გადააკეთონ-რა, არამედ არ წაახდინონ და არ დაამახინჯონ. სამწუხაროდ, დღემდის აუარებელი გადამახინჯება მოახდინეს და ამით ქართულ გალობას სახელი გაუტეხეს.

მამა რაჟდენის გუნდის შესახებ (აქ მხოლოდ მგალობელი მღვდლები მყავს სახეში) მოგახსენებთ ჩემ აზრს, როგორც არა სპეციალისტი, ქართული გალობის უბრალო მოყვარული.

თუმცა ის კილო, რომელიც ნოტებზე გადაღებულია, მოწმობს ძველ ქართული გალობის უმაღლეს განვითარებასა და მუსიკურ სისრულეს, მაგრამ ვერ გამოხატავს მის წარმტაცს, მომხიბლველს, დასრულებულს მუსიკურ კეთილ ხმოვანებასა და ჰარმონიას, რომელიც ახასიათებდა ძველს „გამშვენებულს“ ქართულ სასულიერო გალობას. ხმიდან ხმაზე გადასვლა ვერ არის სუბუქი და თამამი და საზოგადოთ ხმები თითქო გაშეშებული არიან, და არ აქვსთ ის ცოცხალი მოძრაობა და მიმოხვრა, რომელიც ძველი ქართული გალობის ნიშობლივ თვისებას შეადგენდა

მე რომ ნეტარხსენებული გაბრიელის ქართველი მგალობლების გალობა გამახსენდება, მწარე ფიქრი მოიცავს ხოლმე ჩემს გულს. რა მრავალფეროვნება, რა კეთილშეწყობილება, რა სუბუქი, შეუჩნეველი, რხეული და თამამი გადაბმანი და გადასვლანი, რა უეცარი იმპროვიზაციები, ხან წყნარი, ხან მოჩუხჩუხე და ხან მქუხარე კილოები, რა ცოცხალი ხმები, რომლებშიაც მგალობლის სული ჩაწნული ჩაქსოვილია, რა ნახევარ ხმები, რა მელოდიები, რა მოძრაობა და მიმოხრვანი, რა კეთილ-ხმოვანება, რა ჰარმონიული სიმდიდრე იყო!

ეს ყველაფერი გაჰქრა, რადგან კარგი მგალობლები თითქმის ყველანი დაიხოცენ დარჩა ორიოდე. და იმდენიც კი ვერ მოგვიხერხებია, რომ ფონოგრაფით მაინც აღვბეჭდოთ და დავიცვათ ეს ფასდაუდებელი ისტორიული განძი.

სამწუხაროდ კონცერტს ერთობ მცირე საზოგადოება დაესწრო- უბრალო ოპერეტკა კი, იცოცხლე, აუარებელ ხალხს მიიზიდავდა. ეს რასაკვირველია, ჩვენი ეროვნული გადაგვარების მომასწავებელია. მაგრამ მე მაინც გულს არ ვიტეხ და ჩვენი ეროვნული განახლება და აღდგენა მაინცა მწამს.

ვასილ წერეთელი.

სიმღერა.

ჩემთვის რაღაა სიცოცხლე და თვით სიყვარული,
ჩემთვის ისედაც სიყმაწვილით მკვდარია გული.
წარსულ დღეთ ყოფნის სიხალისეს უსიტყვოდ ვტოვებ,
მწარ მოგონებათ, ცრემლით ვთალხავ, ცრემლათ ვათოვებ...

მოწყენილობის შავი ფარდა სულს ეფარება,
ჩემს გულში მეფობს შიშის ლანდი და მწუხარება...
არ მსურს ალერსი მზიანი და სასიყვარულო,
უკანასკნელი ლოცვა მინდა, რომ აღვასრულო...

სიმღერა ჩემი მწუხარეა, ვით მოთქმა მწარე,
ღამის ლანდებში მეჩვენება ცივი სამარე..
ჰაბუკურ სევდით ითალხება სამგზავრო გემი,
შავ ნისლთა მთებში იყუჩება სიცოცხლე ჩემი...

ქუთაისი, 17 მარტი.

ლადო მაჭავარიანი

სამხედრო მინისტრის პოლივანოვის გადაყენება

(პ. დ. ს. ოფიციალი)

მეფემ უმართებულეს სენატს უბრძანა: სახელმწიფო საბჭოს წევრი სამხედრო მინისტრი პოლივანოვი თანამდებობიდან გაანთავისუფლოს. სამხედრო მინისტრის პოლივანოვის პორთფელს იღებს მთავარ საველე საინტენდანტოს ღენერალი ინფანტერიისა შუვაევი.

პედაგოგიური წერილები.

I.

უწინდელს დროში ქართველები დიდს ყურადღებას აქცევდენ სწავლა-აღზრდის საქმეს. ძველათ ეს საკითხი გაისმოდა საქართველოს ყველა მხარეებში. ქალი და კაცი გატაცებული იყო ამ ფრიად დიდმნიშვნელოვანი საქმით და თითოეული მათგანი სცდილობდა მის გამორკვევას, მის მშობლიურს ნიადაგზე აღმოცენებას. დღეს კი ეს საკითხი ჩვენს სამშობლოში, თუ სრულიად არა, ნახევრად მაინც მივიწყებული არის. ბევრი გულგრილათ ეკიდება სწავლა აღზრდის საქმეს და არც კითხულობს. თუ რას ასწავლიან მათს ბავშებს, რა მიმართულებისკენ უთითებენ მოზარდს, ნორჩს თაობას. საკმარისია სკოლაში ბავშმა კარგი ნიშნები მიიღოს, რომ მშობლები კმაყოფილნი დარჩენ. თუ რომ პატარა „კოსტია“ მ და ან „ნადია“ მ რუსული წერა-კითხვა ისწავლა და მაზე იწყო ლაპარაკი, მშობლები სიხარულით ცას ეწევიან. მათ ჰგონიათ, რომ ჩინებულათ მიდის მათი ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმე და ამ ფიქრით გატაცებულნი სრულიად ივიწყებენ ბავშვების სწავლა-აღზრდის საკითხს, ეს რასაკვირველია, დიდს შეცდომათ უნდა ჩაითვალოს; მით უფრო, თუ მხედველობაში მივიღებთ თანამედროვე სასწავლებლებს, რომელსაც არა თუ სრულიად არ შეუძლიათ ბავშვების აღზრდა, მათი ბუნებრივს სფეროში გაფურჩქვნა, მათ არ შესწევთ ძალა ჩვენი ბავშვების რიგიანი სწავლისაც. თუ როგორ შეუსაბამო პირობებში არის დღეს ჩაყენებული ჩვენი ბავშვების სწავლა, თუ როგორ აკრავენ ნორჩი ბავშების აზრსა და გონებას მაგარს რკინის სალტებს, თუ როგორ მოსწყდენ ჩვენი ბავშები მშობლიურ ნიადაგს, ეს თითოეულ შეგნებულს, სამშობლოს მოყვარულ, მშობლებს მოეხსენება. მე კი ჯერ ჯერობით მაინტერესებს სწავლა-აღზრდის საკითხის მეორე ნახევარი, რომლის გამორკვევასა და მის ეროვნულს ნიადაგზე აღმოცენებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ოჯახს. სწავლის საქმეს მოწყვეტილი მშობლები აღზრდის საქმეს მაინც უნდა აქცევდენ ყურადღებას და არ უნდა ამყარებენ თავის იმედებს ოფიციალური სულით გაჟღენთილ სასწავლებლებს, რადგან ესენი ან სრულიად ივიწყებენ აღზრდის საკითხს და ან ჩვენი ერის შეუსაბამო პირობებში ატარებენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეს

მასწავლებლები დაცილებული არიან მოწაფეებს და ვერ ახდენენ მათზე სასურველს გავლენას. მათ შორის ხიდი არის ჩატეხილი. ოფიციალ ქურქში გახვეული მასწავლებელი მოწაფესთან მხოლოდ ფორმალურათ არის დაახლოვებული, ნამდვილათ კი მათ შორის უფსკრული სუფევს და ორს ერთი მეორის შეურიგებელ, მტრულ ბანაკათ არიან გაყოფილი.

მასწავლებელი ზარის დარეკის შემდეგ მრისხანეთ შევა სასწავლებელში, გამოკითხავს ბავშებს გაკვეთილს და ამავე დროს ორებს ან სამებს ჩასწერს დავთარში, შემდეგ ახალს გაკვეთილს აუხსნის და, როგორც კი გათავდება გაკვეთილი, მაშინვე სამასწავლებლო ოთახს მიაშურებს. არავითარი სულიერი კავშირი მოწაფეებს და მის შორის არ არსებობს. დამოკიდებულება მარტო ოფიციალურია.

მასწავლებლები სცდილობენ, რაც შეიძლება ბევრი საგანი ასწავლონ მოწაფეებს და სრულიად ივიწყებენ, რომ მათი მოწაფეები გამოვიდენ ნამდვილი ადამიანები, საზოგადოების სასარგებლო წევრნი. ამ რიგათ თქვენ ხედავთ, რომ [illegible] მე კუთხეშია მიგდებული.

სკოლა უფრო ბავშის გარეგნულ განვითარებას ემსახურება, აღზრდის საქმეს კი ცოტა ყურადღებას აქცევს და თანაც გულგრილად ეკიდება. ოჯახი კი ყველა იმედებს სწავლა-აღზრდის საქმეში სკოლას ამყარებს და ამიტომ არც გასაკვირალია თუ დღეს ჩვენში სწავლა-აღზრდა მახინჯ ფორმებს იღებს ოჯახი და სკოლა სწავლა-აღზრდის საქმეში მჭიდროთ უნდა იყვნენ დაკავშირებული, მათ შორის არ უნდა არსებობდეს ის უფსკრული, რასაც, სამწუხაროდ, ახლა ვხედავთ. სკოლა და ოჯახი ერთად უნდა იყონ შედუღებული, ისინი მთლიან ერთეულს უნდა წარმოადგენდენ და ხელიხელ ჩაკიდებული, ერთი მიზნით გამსჭვალულნი წმინდა გრძნობებით უნდა ემსახურებოდენ ნორჩი თაობის აღზრდის საქმეს. მათ ერთი მეორის დახმარებით უნდა გაავითარონ ადამიანში ყველა ის ფიზიკური, გონებრივი და სულიერი თვისებები, რომლებითაც ბუნებამ დაასაჩუქრა ადამიანი. მათ ხელი უნდა შეუწყონ ბავშის ნამდვილ ადამიანათ გახდომას. არ კმარა მარტო, რომ სასწავლებლიდან გამოვიდენ მოხელეები, სტუდენტები, სხვა და სხვა მეცნიერების ,,კანდიდატები'', საჭიროა მეცნიერებასთან ერთად შესისხლხორცებული იყოს წმინდა, მაღალი ადამიანური გრძნობები.

ამ წმინდა ადამიანურ გრძნობებს ყველაზე უფრო კარგათ ჩაუნერგავს ბავშს ოჯახი, თუ, რომ ის გადაგვარების გზაზე არ არის დამდგარი. ოჯახში ბავში ტიტველი იბადება და ოჯახშივე ისახება მისი სულიერი სისპეტაკე. ოჯახში ბავში გულახდილია და ოჯახშივე მთლიან ერთეულს წარმოადგენს. ოჯახში ბავში სიყვარულს გრძნობს და სიყვარულით ითვისებს მაღალ ზნეობას.

სკოლაში კი ბავში უნდობლათ უყურებს მასწავლებელს და სკოლის სიყვარულს მოკლებული მოწაფეები ვერ ითვისებენ სასწავლებელში ნამდვილ ადამიანურ გრძნობებს.

ამიტომ მშობლებს უნდა ახსოვდესთ, რომ ბავშვების აღზრდაში მათ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ და კიდევაც მხურვალე მონაწილეობას უნდა იღებდენ ამ საქმეში. მათ უნდა ახსოვდეთ, რომ ერთსა და იმავე ადამიანში მჭიდროთ შეკავშირებულია: ორი არსება ცხოვრობს: ,,შინაური'' და ,,გარეგანი'' ადამიანი. პირველის განვითარება და სასურველს ნიადაგზე დაყენება შეუძლია მხოლოდ ოჯახს, მეორესი კი სკოლას. ოჯახს შეუძლია მისცეს საზოგადოებას ადამიანი, სკოლას კი ნასწავლი კაცი.

მე ამ სიტყვებით არ მსურს სწავლა-

ქვენ დაგიმტკიცებთ თუ რა მალე გაიბრილოს ჩვენი მწერლობა, როგორ მა-ე ჩამოშორდეს მის მიმბაძველობითი, ე ეროტიულ—ფუტურისტულ ფუქსა-ტური ზედნადები და როგორ დაიწყონ ქწყინვა ჩვენის მწერლობის მარგალი-ტებმა სასწავლებლად ჭკუისა, ასამაღლებ-ლად გრძნობისა, და გასაფაქიზებლად გუ-ლისთქმისა!

მომეცით თქვენ „უპარტიო“ თავისუ-ფალი, მიუდგომელი და სამართლიანი რიტიკა და თქვენ დაინახავთ—ვინ არის ნამდვილი მწერალი და ვინ მეტიჩარა, ვინ არის ბუნებრივი მარგალიტი და ვინ ხელოვნარი თალლითი მძივი, ვინ არის მებრძოლი და ვინ თვალთ-მაქცი, ვინ არის მოღვაწე და ვინ ცხვრის ტყავში გა-ხვეული მგელი,—ვინ არის ნამდვილი მუშა-ფუტკარი და ვინ ხარაბუზა!

აი, აქ ვერ გავიზიარებთ დებულებას ბ-ნის კოგანისას. ამ შემთხვევაში პიროვ-ნებას, მის ზნეობრივ-გონებრივ თვისე-ბას, მის მედგარ ხასიათსა და ზნეს დიდი და ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს!

მართალია, პიროვნება შვილია თავის წრისა და გარემოება—მდგომარეობისა, მაგრამ იგი ამავე დროს **ადამიანიც** არის, იგი აღჭურვილია გონებით, იგი ნაყოფია უხსოვარ დროიდან დაწყებულ ევოლუციისა, იგი დიდიხანია დაშორდა პირველ ყოფილობას, იგი მხეცი აღარ არის, იგი აღარც მაიმუნია, იგი ახლა ღვთაებას ედარება და ღვთაება ხომ უწმინდეს და უსრულეს არსებათა ჰყავს წარმოდგენილი არამც თუ განათლებულ კაცობრიობას, არამედ ველურსაც კი! მაშასადამე, რაკი პიროვნებამ, ადამიანმა მიაღწია ამ წარმოდგენამდე, იმას, როგორც პიროვნებას, როგორც შეგნებულ ერთეულს, როგორც სადმერთოდ განმზადებულს, ყოველთვის შეუძლია შეიგნოს და შეიმეცნოს უსამართლობა და უღირსობა თავის ოჯახისა, წრისა თუ კლასისა, იმას ყოველთვის შეუძლია პროტესტი გამოუცხადოს საზოგადოებას ცხოველურისა და ველურის მოქმედებისათვის, იმას შეუძლია განეშოროს თავის უსამართლო ჯგუფს, ავიდეს მთასა მაღალსა და იქიდან გადმოსძახოს დაჩაგრულ კაცობრიობას: „მოვედინ ჩემდა, მაშვრალნო და ტვირთ მძიმენო, და მე განგისვენოთ თქვენ“. ან კიდევ შეუძლია შევიდეს თვალმარგალიტებით შემკულ ტაძარში, წიხლი ჰკრას ოქროს კერპს, ზიზღით შეაფურთხოს და დასჭყივლოს: „შენ სტყუი ჩვენთანო“! ასეთი უნივერსალური პიროვნებანი რომ არ ყოფილიყვნენ ქვეყნად და კვლავ რომ არ გაუჩნდეს კაცობრიობას, მაშინ ადამიანები ოქროს ხბოებად გადაიქცეოდენ და მთელი ცხოვრება აყროლებულ, აშმორებული ტბად დარჩებოდა აწ და მარადის. მაგრამ ხსნაც სწორედ იმაშია, რომ ძლიერ პიროვნებასაც შეუძლია თავისით, თავის ნებისყოფით, თავის სისხლითა და ცრემლით შეარხიოს ეს აშმორებული ტბა და ადამიანს უკეთესი ადამიანური ცხოვრების იდეალი დაუხატოს. აქედან ცხადია, რომ მარტო მკითხველი არა ჰქმნის მწერალს, მწერალიც—ეს ასე ვსთქვათ კვინტ ესსენცია, ეს გამონაეური და გამონაწური სამართლიანობისა და კაცთა ამაღლებისთვის დანთხეულ სისხლისა და ცრემლისა, მწერალი,—ეს მხილება ერის სინიდისისა და ღვთაებრივ გულთა მხილავობისა—აგონებს გზა-აბნეულ ბრბოს მის დანიშნულებას, ჰქმნის იმას კი არა რაც არსებულა ან არსებობს მატერიალურ ცხოვრებაში, არამედ ჰქმნის იმას რაც უნდა ყოფილიყო და უნდა იყოს, თუ ადამიანს, ერს, კაცობრიობას არ უნდა რომ ცხოვლად, პირუტყვად დარჩეს. დიაღ, მკითხველი ასწავლის მწერალს ცხოვრებას, მაგრამ მწერალი ასწავლის მკითხველს, თუ როგორი უნდა იყოს ცხოვრება, ცხოვრება ღირსეული, სასიამოვნო, ბედნიერი, უკეთესი, უებრო და სამარადისო!...

ამ გვარად, ჩემის აზრით, მკითხველი საზოგადოება ჩარჩოა მწერლისა და მწერლობა კი სურათია ამ ჩარჩოში ჩასმული. როგორც გლახა, უშნო და ულაზათო ჩარჩო დაამახინჯებს ხოლმე დიდებულ სურათს, ისე შეუგნებელი და უსამართლო მკითხველ-კრიტიკოსი დამარხავს და დაამახინჯებს ხოლმე მწერლობისა და მწერლის სახეს, აღმაფრენას, მისწრაფებასა და იდეალს. სამაგიეროდ, რაც უფრო ძვირფასია ჩარჩო, მით უფრო მშვენიერი სჩანს ამ ჩარჩოში ჩასმული სურათი და როცა ვისიმე მოსიყვარულე ხელი დღემუდამ ასუფთავებს და სწმენდს ჩარჩოსაცა და სურათსაც, მით უფრო დიდხანს სძლებენ ორივენი აღსაფრთოვანებლადა და ასამაღლებლად შთამავლობისა.

მწერალი და მკითხველი ერთი მეორის დამატებაა, ერთი მეორის მშვენებაა. მზრუნველი კი კრიტიკაა, კრიტიკა მიუდგომელი, კრიტიკა ჯგუფურ ინტერესების გარეშე მდგომი, კრიტიკა დამყარებული უნივერსალურ და არა კერძო საფუძველზე!

მწერალი და მკითხველი ობიექტია, მასალაა, კრიტიკა კი,—კრიტიკა ლიტერატურული – სუბიექტია, სულია, რომელიც ამოძრავებს ამ მასალას, ანაწილებს მას ღირსება-მნიშვნელობის მხრივ და დიდის სიყვარულით აშენებს იმ უკვდავ ტაძარს ხელოვნებისას, რომელსაც საერო, საერთო და ხალხოსნური მწერლობა ჰქვიან.

როგორც ვიწრო ცალკერძოება, ეგოისტობა, ჩარჩული შენ ჩემობა და მევახშური გაუმაძღრობა. ავიწყებს ადამიანს ღმერთსაცა და კაცსაც, ისე ვიწრო ჯგუფური, „ჩემ ჯინაზე“ დამყარებული და „ჩემ ქეიფზე“ აგებული შეფასება რყვნის და აბრმავებს, როგორც მკითხველს, ისე მწერალს. მაშასადამე, საზომი ჩვენი უნდა იყოს მიუდგომელი, სუფთა, წმინდა და სამართლიანი.

„გული წმინდა დაბადე ჩემთანა ღმერთო და სული წრფელი განმიახლე გვამსა ჩემსა.“ აი, ის „პირველთქმა“, რომელიც უნდა ლაღად ჰყოს მწერალმა თუ კრიტიკოსმა, როცა კალამს მოჰკიდებს ხელს და წარმოსთქვას მკითხველმა, როცა იგი გადაშლის წიგნს წასაკითხავად...

მე მგონია... მე მრწამს რომ ჯგუფები იმიტომ კი არ არსებობენ, რომ ერთმანეთი დასჭამონ, არამედ არსებობენ იმისთვის, რომ ერთმანეთის დახმარებით სიმართლე გამოაკვლიონ და შეერთებულის ძალით შეჰქმნან ერისა, ქვეყნისა და კაცობრიობის კეთილ დღეობა, მაგრამ ჩვენში საქართველოში, ისევ იმ მაზეზებისა გამო ყველაფერმა მახინჯი სახე მიიღო და ძალზე დამახინჯდა ჩვენი ურთიერთობაც..

არამც თუ კერძო, პირად საქმეებში გავურბივართ ერთმანეთს, საზოგადო საქვეყნო საქმესაც ჩვენის პირადი სარგებლობით ვზომავთ და სიძულვილს ვანთხევთ იქ, სადაც ყველა სიხარულით უნდა შევხვდეთ ერთი მეორეს

ამ ორისა თუ სამი კვირის წინად ქუთაისში თითქმის ერთ დღეს გამოვიდა სამი ჟურნალი, ეს ისეთი თვალსაჩინო მოვლენაა ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში, რომ მთელ ჩვენს პრესას თუ არა, ქუთათურ გაზეთებს მაინც უნდა ეძლვნათ თითო წერილი: კარგი მოეწონებინათ, ცუდი დაეწუნებინათ და ამ გვარად შეეფასებინათ, შრომა—გამრჯელობა, როგორც ამ ჟურნალების მწერალთა, ისე გამომცემელთა, მაგრამ ჯგუფურმა გულისთქმამ აქაც იჩინა თავი და ორი ახალი ჟურნალის გამოსვლა, („სხივი“, „ახალი ცისკარი“) ისე ჩაატარეს, თითქოს არაფერი ყოფილიყოს, ხოლო მესამეს („ცისფერ ყანწებს“) იმდენი ხმაურობით შეხვდენ, რომლის ღირსიც ეს ჟურნალი არ იყო.

პირველ შემთხვევაში დუმილი პირდაპირ ჯგუფური ხასიათისაა, (ეს ჩვენ ნამდვილად ვიცით), ხოლო მეორე შემთხვევაში ხმაურობა იძულებითი შეიქნა, რადგანაც საზოგადოებამ ვერ მოითმინა ასე დაუმსახურებლად თავისი შეურაცხყოფა (იხ. ცის. ყან. „პირველთქმა“ და დარიანის ლექსები.

ორივე შემთხვევაში ჩვენ ვხედავთ უკიდურესობას და ამიტომ განვიზრახეთ ამ წერილების დაწერა*)...

შემდეგი იქნება

შეცდომის გასწორება.

გუშინწინდელ ფელეტონში შეცდომითაა დასტამბული: „ჩვენი ნამდვილი ხალხური ენა, მეტაფორები, გამოთქმა და დასურათხატება ახლად ენა ადგმულ ბავშვის ტიტინად მოგვეჩვენებათ და სხ.“ უნდა იყოს: ჩვენი დღევანდელი მწერლების ენა მეტაფორები და სხვა.

ავტ.

---

*) ცნობილი კრიტიკოსი ბ-ნი კიტა აბაშიძე „ცისფერ ყანწების“ გარშემო ატეხილ განგაშს, სხვათა შორის, ფედერალისტებისადმი „სიმპატიით“ ხსნის და ამბობს: თუ ფედერალისტთა ჟინი არ ამოქმედებს ამ ვაჟბატონებს, რატომ „ზაკავკაზსკაია რეჩზე“ არას ლაპარაკობენ. ის ხომ ყველაზე უწინ დიდის სიამოვნებითა და დიდის აღტაცებით შეხვდა „ც. ყ. გამოსვლასო“ („მეგობარი“ № 15). მოვაგონებთ ბ-ნ კიტას, რომ ჩვენ ეს საქციელი არ მოვეწონეთ „ზ. რეჩს“ ისე როგორც არ მოგვეწონა ბ-ნ კიტას სიტყვა, როცა „ც. ყ.“ გამოსვლა ილიასა და აკაკის გამოსვლას შეადარა. აი, აქ არის სწორედ ჯგუფური გულისთქმა ბ-ნ კიტასი. ავტ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღზრდა ერთმანეთს დაავალონ" და აღზრდა მარტო ოჯახს დაუსაკუთრონ. აღზრდის საქმეს სკოლა ფარს ვერ ჰყოფს, მაგრამ სავსებით ვერც იკისრებს და ვერც შესძლებს ამ დიდი მნიშვნელოვანი საქმის ასრულებას, აღზრდის საკითხში სკოლა უმთავრეს ყურადღებას აქცევდა და დღესაც აქცევს, რომ ბავშის განვითარებულ თავისუფლების სფეროს შეათვისოს დამოკიდებულება ხალხთან, საზოგადოებასთან სახელმწიფოსთან გაუმტკიცოს ბავშს ხასიათი და შეჰქმნას საზოგადო მოღვაწე, ერთი სიტყვით ის ,,გარეგანი'' ადამიანი, რომლის განვითარებაც ოჯახს არ ძალუძს.

რაც შეეხება ,,შინაგანი'' ადამიანის გაფურჩქვნას — ამას სკოლა ვერც იკისრებს და, კიდევაც რომ იკისროს, ვერ შესძლებს. ამიტომ ტყუილად ნუ სცდება ზოგიერთი მშობელი და ყველა იმედს აღზრდის საქმეში სკოლას ნუ ამყარებს. აუცილებლად საჭიროა, რომ აღზრდის საქმეში სკოლამ და ოჯახმა ორივემ მონაწილეობა მიიღონ. მათ მჭიდრო კავშირი უნდა ჰქონდესთ ერთმანეთში და ერთის წმინდა მიზნით გატაცებულნი ნათლათ ემსახურონ აღზრდის საქმეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება აღზრდა იყოს მთლიანი და კარგს ნიადაგზე აღმოცენებული.

გათრგა ნიჟარაძე.

ლეჩხუმის მაზრის მარშლის მომავალ არჩევის გამო.

ლეჩხუმის მაზრის მარშლად ნამყოფ, აწ განსვენებულის თ. დ. იასონ გელოვანის სიკვდილის შემდეგ, დიდი მითქმა მოთქმაა თუ ვინ იქნება მისი ღირსეული მემკვიდრე ამ თანამდებობაზე.

ჩვენ გვინდა ორიოდე სიტყვით გამოვსთქვათ ჩვენი აზრი ამის შესახებ, რადგან მაზრის თავად აზნაურობის წინამძღოლს ჯერეთ კიდევ ფართო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან მარშალი თავმჯდომარეობს მაზრის ყოველგვარ კრებებზე და კომისიებზე, სადაც ირკვევა როგორც ხალხის ეკონომიური, ისე სხვა საჭირო საქმეები, ერობის უქონლობის გამო, ასე რომ ხალხის საჭიროებისთვის მიუწვდება ხმა სხვადასხვა უმაღლეს მართველ დაწესებულებისადმი, მხოლოდ ჯერეთ კიდევ თ. ადაზნ. წინამძღოლს.

ლეჩხუმის მაზრაში ირიცხება, არა ნაკლებ 1200 მოსახლე აზნაურთა, რომელთა რიცხვშიც მარშლის არჩევანში მონაწილეების მიღების უფლება მხოლოდ 20-მდე კომლს აქვს დანარჩენი უმრავლესობა კი სრულიად გარეშე არჩევანისა რჩება ჯერ ჯერობით.

ვიღებთ რა მხედველობაში არჩევანის ამ არანორმალურ მდგომარეობას, ჩვენ, ერთი ჯგუფი, მოვუწოდებთ ხსენებულ უფლება მოკლებულ აზნაურთ შეთანხმდენ მათთვის სასურველ კანდიტატის დასასახელებლათ, ყოველ მხრივ ამ ფრიად საყურადღებო საკითხის გამორკვევის შემდეგ. ვფიქრობთ. და დარწმუნებულიც ვართ, რომ ჩვენი უმრავლესობის გადაწყვეტილებას კანდიტატის შესახებ სავალდებულოთ მიიღებს უფლების მქონე აზნაურთა უმცირესი რიცხვი. ამ წესით არჩეული წინამძღოლი იქნება სასურველი და საამაყო მთელი მაზრის მცხოვრებთათვის და მასთანვე წასაბაძიც ყველა მაზრისათვის.

ერთი ჯგუფის მონდობილობით

იას. ახვლედიანი.

ОСМАЛЕТИ

ოსმალეთი

დარდანელის ლიკვიდაციის შემდეგ ახალგაზდა ოსმალებს თავი უძლეველი ეგონათ და სიხარულს ეძლეოდენ, მაგრამ დღეს, როდესაც რუსის მხედრობა არა ჩვეულებრივის სიჩქარით წინ მიდის და დღე და დღე ახალახალ ქალაქ-დაბა სოფლებს იღებს აზიის ოსმალეთში აქ ისინი მეტად დაფიქრდენ, დიქტატორმა ენვერმა გერმანელებს მიმართა, მათი რჩევით მან დაათვალიერა კავკასიის ასპარეზი იყო სივა სირიაში, სადაც იგი დიდი ამბით მიიღეს, მის მოგზაურობაში ყველაზე დიდი მნიშვნელობა ეძლევა ენვერ-ფაშის სირიის არმიის სარდალთან საუბარს; სირიის არმია ოსმალეთში ყოველთვის ურჩათ და მეამბოხეთ ითვლებოდა და ახლა, როგორც სჩანს, ეს არმია ენვერ ფაშას თავის გავლენის ქვეშ მოუქცევია. გერმანელების რჩევით ხდება, რომ სტამბოლში და სხვა ... ლა მნიშვნელოვან სადარაჯო პუნქტებში სულ გერმანიის ჯარის [illegible] ჩააყენეს. თუ დავუჯერებთ ქართ[illegible] ცნობებს კავკასიის ფრონტზე ოსმალთა დამარცხება ცარგრადში დიდ მღელვარებას და ხშირათ აშკარა ამბოხებას იწვევს. სწორეთ სახიფათო მოვლენის მოსასპობათ და ხალხის სულიერ განწყობილების შესანარჩუნებლათ სტამბოლს ჩავიდა ფელდმარშალი მაკენზენი, რომლის ჩამოსვლითაც ახალგაზდა ოსმალები ხალხს აუწყებენ ამ ახლო მომავალში საქმის გამობრუნებას და ბრძოლის ველზე გამარჯვებას.

რა მოხდა ჩინეთში?

პირდაპირ განსაცვიფრებელი ამბავი მოხდა ჩინეთში. არავის ეგონა თუ ასე ჩქარა იმპერატორათ ალსარებული პრეზიდენტი იუანშიკაი განდიდებასა და ეგოისტურ სურვილებს ასე საჩქაროთ საზღვარს დაუდებდა.

ყველას ეგონა, რომ ჩინეთის განახლებული მღელვარება კიდევ დიდხანს გასტანდა და ბევრი საყურადღებო პერიოდი აღინიშნებოდა ამ მღელვარების პროცესში, მაგრამ სწორეთ საკვირველება მოხდა.

იუანშიკაისა და რესპუბლიკანელთა ჯარებს შორის ჯერ გადამწყვეტი ბრძოლა არც-კი დაწყებულიყო, რომ უცბათ იუანშიკაიმ იმპერატორობა პრეზიდენტობას თავი დაანება და რესპუბლიკას მიემხრო. ეს ამბავი მეტად საყურადღებოა, მაგრამ უფრო ყურადღების ღირსია, ის გარემოება, თუ როგორ მოიქცევიან უხარმაზარ ჩინეთის რევოლუციონერები უმნიშვნელოთ არ გაჰქრებიან, როგორც ოსმალეთ სპარსეთისა. რევოლუციის გამარჯვება მარტო ოფიციალ მთავრობას ჯარების დამარცხებაში არ უნდა გამოიხატოს, არამედ საჭიროა შემდეგ მართვა გამგეობის საქმის მოგვარება, ხალხზე მეტი მზრუნველობის გამოჩენა, სახელმწიფოს ეკონომიურ პოლიტიკურ მდგომარეობის გათვალისწინება და სხვა და სხვა.

„დედა-ენა“ და სამაჰმადიანო საქართველო

ამ ბოლო დროს ჩვენი თანამემამულე ქრისტიან ქართველების შეგნებულმა ნაწილმა განიზრახა ქართველი მაჰმადიანებისათვის შეედგინათ „დედა-ენა“ და მით ჩაეყარათ ერის ასაღორძინებლად ახალი საძირკველი, რაზედაც უნდა აშენდეს ჩვენი ეროვნული მთლიანობა მწამს და მიზანიცაა ჩვენი აღვადგინოთ ჩვენი ეროვნული, პოლიტიკური ერთობა. თქმა არ უნდა, ეს დიადი და მამულიშვილური საქმეა, მაგრამ ამ ისტორიული საქმის დაწყებისათვის ჩვენი შინაგანი არსებისა და გონების ნაკარნახევს უნდა დაუკავშიროთ შესაფერი ტაქტიკაც, თორემ მთელი ჩვენი შრომა და ამაგი ამაოდ ჩაივლის.

როდესაც საქართველომ მეოთხე საუკუნის დასაწყისში ქრისტეს სარწმუნოება მიიღო და ახალ კულტურულ ცხოვრებაში გაერთო, ახალმა ცხოვრების პირობებმა მას ახალი კულტურის სახე მისცა. აგრეთვე მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში დასავლეთ საქართველომ რომ მაჰმადის სარწმუნოება მიიღო და ახალი ცხოვრების პირობებში ჩადგა, მასაც ძველი ცხოვრების სახე ეცვალა და ახალმა მოძღვრებამ, შერიერთმა (სამოქალაქო კანონებმა), ერთს ზნეობრივი მხარე განამტკიცა და ეროვნული მეტყველობის გარდა სხვა ყველაფერი მოსპო, გაანიავა.

ასეთმა ცხოვრების პირობებმა ისეთი გარემოება შეჰქმნა, რომ გამაჰმადიანებული ქართველები არაბეთში უნდა წასულიყვნენ და იქ ესწავლათ ახალი ღვთის მეტყველება, არაბული ლიტერატურა, ფილოსოფია — ლოღიკაში გაწაფულიყვნენ სწავლობდენ სამაგალითოდ და მალე თვითონაც მასწავლებლად გამოდიოდენ მაგალითად, ქვემო აჭარის სოფელ ზუნდაგიდან მემედ ეფენდი გვერდაძე. ეგვიპტეში ჯამილ ეზჰერში არაბებს შერიეთს ასწავლიდა. ასევე იყო სტამბოლში და ოსმალეთის სხვა და სხვა ქალაქებში, სადაც ჩასული ქართველი მაჰმადიანები თურქებს მასწავლებლობას უწევდენ. არა ერთი და ორიც დაუნიშნია ხონთქარს შეიხულ ისლამად ქართველი სამაჰმადიანებოსაგან. მთელს ოსმალეთს არ მიუცია იმდენი სასულიერო პირი, რამდენიც აღზარდა სამაჰმადიანო საქართველომ, განსაკუთრებით ჰანეთმა დღესაც სწავლული პირების უმეტესი ნაწილი სასულიერო წოდებაა ჩვენში, და ხალხიც დიდი მორწმუნეა და სხვა...

მართალია, ჩვენ ქართველები ვართ, ჩვენს ძარღვებში ქართველის სისხლი სჩქეფს ჩვენი ზნე ჩვეულებაც ქართულია და ჩვენი ეროვნული თვითშეგნებაც ერთია, მასთან ერთად გვსურს გარდავიქმნეთ ერთ ერთეულად, ერთ სულად და სხეულად, რათა აღვადგინოთ ჩვენი ეროვნული მთლიანობა, მაგრამ მაჰმადისადმი ჩვენი მტკიცე და შეურყეველი რწმენა არ წაიშლების. ეს მნიშვნელოვანი გარემოება, როგორც დაწყებული საქმეებიდანა სჩანს, ჩვენი თანამემამულეთა მიერ ჯეროვანად ვერ არის გათვალისწინებული და ვშიშობ, რომ ამდენმა ღვაწლმა და შრომამ ვაი თუ ნაკლები ნაყოფი გამოიღოს!...

ხშირად ხდება, სხვა: სოციალურ პირობებში აღზრდილი ვინმე ერთი პირი, მეორისა კულტურულ ცხოვრების სათანადოდ ვერ აკვირდება და მის შესახებ თვისი კულტურული ცხოვრებასა თანახმად მსჯელობს, დასკვნა გამოაქვს

აი, სწორედ ასე მოსდის ჩვენი საზოგადოების მოწინავე ნაწილს ჩვენს თანამემამულე ქართველ ქრისტიანებს. ავიღოთ პატარა ნიმუში ნათქვამის განსამარტებლად. მოგეხსენებათ, მათ შეუდგინეს „დედა ენა“, მაგრამ იქ ჩვენი სოციალურ-კულტურული ცხოვრება ჯეროვანად არაა სახეში მიღებული. „დედა-ენა“ მშვენიერია, მაგრამ ქართველი მაჰმადიანებისათვის არაა გამოსადეგი. „დედა ენის“ მესამე გვერდი ყოველ გონიერ ადამიანს გააოცებს. მხოლოდ შიგ მოყვანილ ზოგიერთ სიტყვებზე და სურათებზე მინდა ორიოდე სიტყვა ვსთქვა. ჩვენ იმას არ ვდავობთ, რომ უსათუოდ თემური „დედაენა“ შეგვიდგინეთო. ჩვენ ვამბობთ, როცა ბავშვი კითხვას დაიწყებს დედა ენაში, მას უცნობი სიტყვები ნუ შეხვდება-თქო. მიტომ, რომ ასეთი საგნის სახელებს ბავშვის ნორჩი გონება ვერ ითვისებს და ხალისი კითხვისა ეკარგება. თქმა არ უნდა, ნაცნობი სიტყვები რო შეხვდება, მას, აღფრთოვანებაში მოიყვანს. ასეთია ბავშვის ბუნება.

ახლა მოვიყვანთ „დედა ენაში“ ნანახ ზოგიერთ ნაწილის იმ სიტყვებისას, რომ ლებიც უცნობია და გაუგებარი სამაჰმადიანო საქართველოში, მაგალითად:

თუთა, შოშია, კომში, ნუში, ფონი, ზუთხი, ხარიხა, თახჩა, ჩიჩია, კოლო, ღამურა, დალაქი, სარქველი, გუთანი, ნამგალი, ობობა, სქელი, წიწაკა და სხვა. გარდა ამისა 26 გვერდში: პატარა მკერავზე: მარო პატარა მკერავი ქალი იყო და სხვა. აქ სახელი (მაროს) მაგიერად უნდა იყოს სახელი: მარიამი, ბეჟრა, ანუ აიშე და სხვა. აგრეთვე 31 გვერდზე სანდროს ლოცვაზე:

„პატარა სანდრო ობოლი იყო მამით. დედაც ძლიერ ავად გახდა. მწარედ დაღონდა სანდრო. შევედრა ღმერთსა: მოწყალეო უფალო, მომირჩინე საყვარელი დედა და მის მაგივრად თუნდა მე გამხადე ავადაო. შეუსრულდა ნატვრა სანდროს და მორჩა დედაო. ჩემთვის, როგორც მაროსი, ისე სანდროსი, ვასოსი, სამსონის, გრიგოლის, სპირიდონის და გიორგის სახელები ცნობილია და პატივსაცემია, მაგრამ ამ დედა ენაში სანდროს სახელი უნდა იყოს აჰმედათ და ლოცვაში მიღებული მისი მდგომარეობა უნდა შეიცვალოს. თავზე ყაბალახი უნდა დაეხუროს. ჩვენში, საზოგადოდ და განსაკუთრებით ლოცვებისა და სწავლის დროს თავის ახდა აკრძალულია

მასთან ერთად არ შემიძლია არ აღვნიშნოთ ერთი რამ გარემოებაც: ქართველ მაჰმადიანთა თვალ საზრისით ზნეობრივი ის ცუდი შთაბეჭდილება, რომელსაც ახდენს „დედა-ენის“ მე-11 გვერდზე დახატული მთელი ფეხი. ჩვენის შერიეთით მუხლსა და წელს შორის მოქცეული მთელი სხეული უნდა იყოს დაფარული. თორემ შერიეთის უმთავრესი ერთი მუხლი იქნება შებღალული, რაიც დიდს უსიამოვნებას იწვევს.

ჩვენი ქართველი მაჰმადიანებისათვის შესადგენ დედა-ენაში უნდა მოქცეულ იქნას დიდებული მაჰმადის ხალიფის, ჰოშების, კრიალოსანისა და ყავარჯენის ნახატები. აგრეთვე უნდა მოეთავსოს შიგ ჯოჯოხეთის, სამოთხისა და წმინდა მექქისა და მედინეს სურათები, რაც განუდევნის მკითხველს შიშსა და განუწმინდებს გონებაში გატარებულ ყოველგვარ ეჭვს და მიემატება მშობლიური ენის შეთვისების ხალისი და შეიქნება ჭეშმარიტი ღვიძლი შვილი თავის მაარსებელი დედაქვეყნისა.

მემედ ბეგი აბაშიძე.

პროვინციის ცხოვრება.

დ. ჭრებალო. (ლეჩხუმის მაზრა). 13 მარტს, დ. ჭრებალოში მოხდა ჭრებალოს საკრედიტო ამხანაგობის ჩვეულებრივი წლიური კრება ბ. ინსპექტორის, ვ. გეორგობიანის, თანადასწრებით. განსახილველი იყო წარსული 1915 წლის ანგარიში, მომავალი წლის ხარჯთაღრიცხვა, გამგეობის ერთი წევრისა და საბჭოს ორი წევრის არჩევა, საშუამავლოდ დატოვებული თითო წევრთაგან ხუთ-ხუთი მანეთის შესახებ მსჯელობა და მიბარებული ფულების წესდების შეცვლა. კრება გაიხსნა ნაშუადღევს ორ საათზე თავმჯდომარეთ ერთხმად აირჩიეს ინსპექტორ გეორგობიანს.

კრებაზე დაესწრო ამხანაგობის სამასზე მეტი წევრი. კრებამ ერთხმად დაამტკიცა წარსული წლის ხარჯთაღრიცხვა, ხოლო წმინდა მოგება 352 მან. 57 კაპ. ასე განაწილდა: 141 მ. ჩარიცხეს ძირითად თანხაში, 71 მ. სათადარიგო თანხაში, 100 მ. მიეცა საჩუქრად უფასო სამკითხველოს, 200 მ. საბჭოს თავმჯდომარეს ბიქტორ სოხაძეს, რომელმაც ფულის მიღებაზე უარი განაცხადა და სამკითხველოს შესწირა. დანარჩენი 20 მ. 57 კ. გადაიდვა ქონების შესაძენათ. შემდეგ გადადიან საშუამავლო ოპერაციების წარმოებაზე; ეს საკითხი დიდ კამათს იწვევს, ვინაიდან ოპერაცია გამგეობას, მთავრობის ნება დაურთველობის გამო, კერძო დავთრებით უწარმოებია და საჭირო მოთხოვნილებანი დროზე ვერ შეუძენია, რომ ლის მიზეზიათაც გამგეობა ასახელებს საერთო ქარტეეხილის გამო „რადების“ თავის დროზე უქონლობას. კრების უმეტესობამ ეს მოტივი საპატიო მიზეზათ სცნო შემდეგ კრება ეხება საშუამავლო ოპერაციისათვის შეგროვილ ფულების დარიგებას, ეს საკითხი ისე მწვავდება, რომ კრება გრძელდება თითქმის შუადამემდის და უმეტესობა დაქანცულობის გამო დარბაზს სტოვებს და შინ მიდიან უკანასკნელათ რჩებიან მხოლოდ 63 მეტათ დაინტერესებული პირი. რამდენიმე წევრთაგანი თხოულობს კრების გადადებას ხალხის სიმცირის გამო, მაგრამ კრების თავმჯდომარე ბ. ინსპ. განმარტავს, რომ ეს კრება, ვინაიდან მეორეთ არის მოწვეული, ხუთი წევრთაგანიც რომ დარჩეს, მაინც კანონიერათ ჩაითვლება და მსჯელობა ისევ გრძელდება. საშუამავლოთ შეკრებილი თანხას დარიგებაზე იდგამენ კენჭს და ხმის უმეტესობით, 35 ი. 26-ის წინააღმდეგ, ამ თანხის სესხათ აძლევენ მომხმარებელ საზოგადოებას.

შემდეგ ამისა გადადიან 1916 წლის ხარჯთაღრიცხვაზე, ბევრი კამათის შემდეგ ხარჯებისთვის იქნა ერთხმათ გადადებული 900 მ. ამას მოჰყვება არჩევანები გამ მარე მდ. ჰოლოვკერ ბით ანებებს თავს თავმჯდომარ ხალხი მოითხოვს ისევ მის მასთან ერთად უფრო დავითულიანი და კანდიდატ გათულიანი ხმის უმეტესობით, 51 აღმდეგ 12-ისა, თავმჯდომარეთ არჩ ე გამოშოძეს ხოლო მდ. დავითულიან იღო 19 თეთრი და 44 შავი. მანდ დავითულიანმა 26 თეთრი, 37 შავი წევრებათ ერთხმად აირჩიეს გერასიმ ხაძეს და იაკობ ღომთაძეს

სტ. დ

დ. ზესტაფონი. 15 მარტს, ად რაფ სავრცელო დარბაზში, ახალგაზ ტორმა გრიგოლ ხაინდრავამ წაიკით ხა ლექცია თანამედროვე ომზე. მიუ იმისა, რომ ლექციის მიზანი იყო დღე ათასგვარ საჭირბოროტო კითხვების და დახასიათება, რაც ლექტორმა შესრულა. ხალხი სამწუხაროდ ცოტ რო. დარბაზში მარტო ადგილობრივ ლიგენცია იყო თავმოყრილი. არსად ვაჭრები მათგან სამი ოთხი კაცი დანარჩენებს განა ლექციისთვის სცხელ თი ყურადღება მხოლოდ ჯიბის გასქე კენ არის მიპყრობილი. საზოგადოებას მოეწონა ლექციის მეორე ნაწილი, მომავალ ზავზე იყო ლაპარაკი, ავტორმ ნარად დაგვიხატა, თუ რას უნდა ს დეს მომავალი ზავი, და რა არის მისი ველეს საჭირბოროტო კითხვები.

დასასრულ ლექტორმა ილაპარაკა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობაზე, ბითა და სიყვარულით იყო აღსავსე ხიდა. კითხვის დროს მხურვალე ტ მა გამოიწვია ლექტორის შემდეგმა სიტ „საქართველოს კეთილ მომავლისთვის ლებელ საჭიროებას შეადგენს სამეურნ ნით აღჭურვილი და ჩვენი ქვეყნის ურად ამაღორძინებელი ელემენტები. სა საქართველოს შვილთა; რეალურ მიხედვით მოქმედება, რომ მათ წარ წინ პრაქტიკულ ნაბიჯს ჩვენი ქვეყნის თილდღეობის“. დამსწრე საზოგადოება ფილი დარჩა. ლექტორი მხურვალე ცემით იქნა დაჯილდოებული.

დამსწრ

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**

გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლ**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)

მიღებულია დიდძალი

საპნის გასაკეთებელი სოდა

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზე ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

სიფილისი.

ყოველ მის სტადიაზე წარმატებით რჩება გაუმჯობესებულ ფრანგულ ექ **დე-ვეზის პრეპარატის** საშუალებით.

სიფილისის მოსარჩენათ ხმარებულ საშუალების უმნიშვნელო მოქმედებას იმ დასკვნამდი მიყავს ავათმყოფნი, რომ წამლობას თავს ანებებენ და ამით თავის თავს მწვავე შედეგების საფრთხეში აგდებენ: სიფილისის ბაცილები, მძლავრდებიან რა ავათმყოფის სხეულში, შხამვენ მთელს ორგანიზმს საშიშარი შხამით, რომელიც იწვევს პროგრესიულ სიდამბლეს. სხეულის სრულიად დამლას. მხოლოდ რადიკალური და ენერგიული წამლობა სიფილისის წინააღმდეგ ათავისუფლებს ავათმყოფს სიკვდილისაგან.

პრეპარატი ექ. დე-ვეზისა ცნობილია ექიმებისაგან შეუდარებელ საშუალებათ სიფილისის წინააღმდეგ მანაურულათ წამლობის დროს.

პრეპარატი ექ დე-ვეზისა სრულებით სპობს სიფილისის ბაცილებს და სწმენდს შხამისაგან სხეულის ყველა ნაწილს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა სპობს მუწუკებს, ჩირქის დენას გულსა და შხამს რომელიც სიფილისისაგან არის გამოწვეული, სპობს თავის ტკივილს, ფეხების ავათმყოფობას, ზურგისას, უძილობას, მეხსიერების, მხედველობისა და სმენის სისუსტეს.

პრეპარატი ექ. დე ვეზისა დიდ სამსახურს უწევს ავათმყოფს და აშორებს მას ხირხამლისა და მთელი ორგანიზმის პროგრესიულ სიდამბლეს.

ხიფარშივის თავიდან ასაცდენათ **პრეპარატი** ექ. დე-ვეზისა იყიდება ქ. ქუთაისში მხოლოდ „პრაქტიკულ მედიცინის ლაბორატორიის“ განყოფილებაში ქუთაისში **ა. ნ. შავერზაშვილის** სააფთიაქო მაღაზიაში, გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი კოლოფისა 5 მანეთი, წამლობის მთელი კურსისათვის საჭიროა 3—5 კოლოფი.

9 **პოპულიარული ბროშურა იგზავნება უფასოთ.** (წლიური)